საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/39

ქ. ბათუმი 03 ივნისი, 2022 წ.

„ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, 66-ე მუხლის, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების (ცვლილება N105/ნ. 29.12.2021 წ), იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (MES 2 22 0000175019, 21/02/2022), ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (MES 0 22 0000576977, 02.06.2022) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, N1 დანართის (წესის):

ა) მე-2 მუხლის 2.8. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**2.8. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა** - ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებელი, შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;“;

ბ) მე-2 მუხლის 2.15. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2.15. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა,

რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები/კონცენტრაციები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები, მათ შორის, ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). **საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია:** სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი. **სასწავლო კომპონენტი** საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილია, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის/საგნის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პრაქტიკული სახის პროექტის/ნაშრომის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით, ხოლო **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი** – მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილია, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, დისერტაციის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის სახით;

გ) მე-2 მუხლის 2.18. - 2.21. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**2.18. მოდული** – სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე სასწავლო კურსებს/საგნებს. მოდულში განსაზღვრულია სასწავლო კურსთა/საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას;

2.19. კონცენტრაცია - უმაღლესი განათლების პირველი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფება კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში;

2.20. კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. **სტუდენტის სასწავლო დატვირთვა** არის ის დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

2.21. სწავლის შედეგები – საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, კონცენტრაციის, სასწავლო კურსის დასრულების შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები. **სწავლის შედეგების** მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება **შეფასების მეთოდები** (ზეპირი/წერითი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, პორტფოლიო, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, გამოფენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE) და სხვ).“;

დ) მე-5 მუხლის 5.5. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.5. ბსუ-ს **მიერ** განსაზღვრულ სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებ გამოცდას/გამოცდებს ენიჭება კოეფიციენტები. ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების თანახმად დაშვების წინაპირობად სტუდენტებისათვის განსაზღვრულია უცხო ენის დონე - B2.“;

ე) მე-6 მუხლის 6.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება მოიცავდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და ისწავლებლა არანაკლებ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

ვ) მე-6 მუხლის 6.5. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6.5. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს აგრეთვე იმ პირს, რომელსაც აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან სახელოვნებო/სასპორტო/სამხედრო პროფესიული განათლების მქონე პირს.“;

ზ) მე-6 მუხლის 6.8. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6.8. აპლიკანტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის ან სახელოვნებო/სასპორტო/სამხედრო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, ამ აპლიკანტსა და ბსუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (დოკუმენტაციის წარმოდგენისა და ხელშეკრულების გაფორმების ვადები განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით).';

თ) მე-6 მუხლის 6.11. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6.11. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემთხვევაში გაიცემა სერტიფიკატი (ფორმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად). თუკი ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, დიპლომსა და დიპლომის დანართში მიეთითება აგრეთვე ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლება.“;

ი) მე-13 მუხლის 13.3. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,13.3. სტუდენტის სასწავლო დატვირთვის განსაზღვრისათვის გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაო მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, საიდანაც არაუმეტეს 10 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი - დამოუკიდებელი სამუშაო (ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია კრედიტში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსხვავებული თანაფარდობა). **საკონტაქტო საათი** არის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო, ხოლო **დამოუკიდებელი საათი** –

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო.";

კ) მე-13 მუხლის 13.5. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,13.5. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.";

ლ) მე-14 მუხლის 14.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,14.1. სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება კომპონენტებში (სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევითი) მიღებული შეფასებით. სტუდენტის **შეფასების კომპონენტებია** შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება **შეფასების მეთოდები, ხოლო შეფასების კრიტერიუმი** კი არის შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (გარდა კონცენტრაციისა და მოდულისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდება.

14.2. სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, მოდული, პრაქტიკა, შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტი, საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი ან სხვ.) მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით შეფასებას - 40 ქულა. შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. **მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი** მახასიათებლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი შესაძლებელია აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ბსუ უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.";

მ) მე-14 მუხლის 14.8. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,14.8. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა, ხოლო რეგულირებად პროგრამებზე (პროგრამით განსაზღვრულ კლინიკურ საგნებში) შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - არანაკლებ 25 ქულა. სტუდენტი, რომელიც ვერ გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება."

ნ) მე-14 მუხლის 14.19 პუნქტი ამოღებული იქნეს.

ო) მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,16.1. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობაა **30 კრედიტი** და იგი წარმოადგენს მაგისტრანტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი ინოვაციური კვლევის შედეგს, რომელიც ეყრდნობა შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურის შესწავლას, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ექსპერიმენტის ჩატარებას/კვლევის წარმოებას, დასკვნების გაკეთებას და შედეგების წარმოდგენას, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით.

16.2. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების უზრუნველსაყოფად სტუდენტს ენიშნება სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის და სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილების (შესაბამისი პუბლიკაციების) და დოქტორის ხარისხის მქონე ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი/მოწვეული პირი. **სამაგისტრო თემა თუკი მოიცავს ორ ან რამდენიმე დარგს/ქვედარგს, მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს სამეცნიერო თანახელმძღვანელი.**

16.3. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა ხდება **სტუდენტის მოსაზრებების,** ინტერესებისა და თანამედროვე პრობლემატიკის გათვალისწინებით. სამაგისტრო ნაშრომის დასახელებას და ხელმძღვანელს შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში - სტუდენტის სწავლების **მესამე სემესტრში,** ხოლო მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში - სტუდენტის სწავლების **მე-9 სემესტრში.**

16.4. სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია:

ა) დაეხმაროს სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში;

ბ) ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და უზრუნველყოს კვლევის სწორი მიმართულებით წარმართვა,;

გ) ჩაატაროს რეგულარული კონსულტაციები;

დ) დაეხმაროს სტუდენტს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების პროცესში, მათ შორის ხელი შეუწყოს მაგისტრანტს შეასრულოს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვებისათვის სილაბუსით გათვალისწინებული წინაპირობა - **სამაგისტრო ნაშრომის თემაზე ან დარგის/ქვედარგის თემატიკაზე მაგისტრანტმა** წარადგინოს მინიმუმ **ერთი მოხსენება** საუნივერსიტეტო (ეროვნულ ან საერთაშორისო) სამეცნიერო კონფერენციაზე ან პუბლიკაცია (ნაშრომი/სტატია/თეზისი) დაიბეჭდოს (ან დასაბეჭდად იქნეს მიღებული) საუნივერსიტეტო (ეროვნულ ან საერთაშორისო) სამეცნიერო კონფერენციის მასალებში);

ე) სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ მოამზადოს დასკვნა, წინამდებარე მუხლისა და წესზე **თანდართული N1 ფორმის** შესაბამისად.

16.5. სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგინოს სილაბუსით დადგენილი მოთხოვნების მიხედვით, როგორც ბეჭდური და ყდაში ჩასმული სახით, ასევე ელექტრონულად. ნაშრომის მოცულობა არ უნდა შეადგენდეს 50 გვერდზე ნაკლებს, ხოლო გაფორმების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) ტექსტი უნდა აიკრიფოს A4 ზომის სტანდარტულ ფორმატზე;

ბ) შრიფტის სახე –Sylfaen;

გ) შრიფტის ზომა – 12;

დ) სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;

ე) ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხენა – 3 სმ, მარჯვენა – 1,5 სმ, ზემოთ – 2 სმ, ქვემოთ - 2 სმ;

16.6. სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგინოს შემდეგი სტრუქტურით:

ა) თავფურცელი – წარმოადგენს ნაშრომის პირველ გვერდს. თავფურცელზე უნდა მიეთითოს უნივერსიტეტის სრული დასახელება („საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“). უნივერსიტეტის დასახელება უნდა გამოიყოს ქვედა ნაწილისაგან 2-3 სმ-ით; მომდევნო ხაზზე 1,5 ინტერვალით უნდა მიეთითოს: ფაკულტეტის დასახელება. პროგრამის დასახელება და სტუდენტის სახელი, გვარი; ნაშრომის დასახელება, შემდეგ ხაზზე - მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (მაგ. ნაშრომი წარდგენილია ბიოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). თავფურცლის მარჯვენა მხარეს აღინიშნება ნაშრომის (თემის) ხელმძღვანელის აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა და აკადემიური ხარისხი, სახელი და გვარი. თავფურცლის ბოლოს მიეთითება შესრულების ადგილი და ნაშრომის წარდგენის წელი;

ბ) სტუდენტის განაცხადი წარდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ. ნაშრომის ავტორის განაცხადი უნდა განთავსდეს ცალკე ფურცელზე (სასურველია შემდეგი შინაარსის ტექსტის გამოყენება):

„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

გ) ანოტაცია - წარმოადგენს ნაშრომის მოკლე შინაარსს, არ უნდა აღემატებოდეს 300 სიტყვას. იგი უნდა დაერთოს ნაშრომს ქართულ და ინგლისურ ენებზე;

გ) სარჩევი – უნდა აისახოს ნაშრომის სრული ტექსტის ცალკეული თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება, საწყისი გვერდის ნომრის მითითებით;

დ) შესავალი – უნდა აღინიშნოს საკვლევი თემის აქტუალობა, მიზნები და დასმული ამოცანები, კვლევის მეთოდები;

ე) ძირითადი ტექსტი – უნდა ასახავდეს ნაშრომის შინაარსს, დალაგებული უნდა იყოს თავებად და პარაგრაფებად;

ვ) დასკვნა – უნდა მოიცავდეს კვლევის ძირითადი შედეგების შეჯამებას;

ზ) გამოყენებული ლიტერატურა – უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით და ტექსტში დაცული უნდა იქნეს ციტირების წესი;

თ) საილუსტრაციო მასალა (არსებობის შემთხვევაში).

16.7. სტუდენტი ვალდებულია შესაბამის სემესტრში, არაუგვიანეს მე-12 კვირისა, Moodle-ის პლატფორმაზე ატვირთოს სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც შემოწმდება როგორც **ანტიპლაგის (მსგავსების დეტექტირების)** პროგრამით, ასევე სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. ნაშრომის პირველადი შემოწმება ხორციელდება არაუგვიანეს მე-13 კვირისა.

16.8. სამაგისტრო ნაშრომის სხვა ნაშრომთან მაღალი ხარისხით მსგავსების (30%-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 70%-ისა) შემთხვევაში, ხელმძღვანელი Moodle-ის პლატფორმაზე უთითებს შესაბამის კომენტარებს. სტუდენტი ვალდებულია გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი განმეორებით ატვირთოს არა უგვიანეს მე-14 კვირისა, პირველადი წარდგენის შემთხვევაში ნაშრომში 70%-ზე მეტი მსგავსების ან განმეორებით წარდგენის

შემთხვევაში 30%-ზე მეტი მსგავსების აღმოჩენის შემთხვევაში, ნაშრომი ფასდება (F) ჩაიჭრა შეფასებით.

16.9. სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, პირველად ან/და განმეორებით ატვირთული ნაშრომის გადამოწმების შედეგად არაუგვიანეს მე-15 კვირისა ამზადებს დასკვნას **(შედგენილი წინამდებარე წესის N1 ფორმის შესაბამისად),** რომელიც უნდა მოიცავდეს: ა) ნაშრომის დასახელებას; ბ) ავტორის ვინაობას; გ) ნაშრომის მოკლე მიმოხილვას; დ) ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნას, შესაბამისი შენიშვნებისა და რეკომენდაციების მითითებით; ე) მსგავსების დეტექტირების (ანტიპლაგის პროგრამა) შედეგად გამოვლენილ მსგავსების მაჩვენებელს; ვ) **არგუმენტირებულ პოზიციას** ნაშრომის საჯარო დაცვაზე მაგისტრანტის დაშვების მიზანშეწონილობის (დაუშვებლობის) თაობაზე, მათ შორის შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული წინაპირობის (**სამაგისტრო ნაშრომის თემაზე ან დარგის/ქვედარგის თემატიკაზე) მაგისტრანტის მოხსენების წარდგენის სტუდენტის მიერ შესრულების შესახებ ინფორმაციის მითითებით.** აღნიშნული დასკვნა ხელმძღვანელმა უნდა გააცნოს სტუდენტს და მხოლოდ ამის შემდეგ წარუდგინოს შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს, Moodle-ის პლატფორმაზე ატვირთულ და ანტიპლაგის პროგრამის მიერ შეფასებულ სამაგისტრო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

16.10. არაუგვიანეს მე-16 კვირისა დარგობრივი დეპარტამენტის საოქმო გადაწყვეტილებით ინიშნება სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი, სამაგისტრო ნაშრომის შესაბამის დარგში სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს ნაშრომის ხელმძღვანელი.

16.11. რეცენზენტმა არაუგვიანეს მე-17 კვირისა უნდა წარმოადგინოს დასკვნა **(შედგენილი წინამდებარე წესის N2 ფორმის შესაბამისად),** რომელშიც უნდა აისახოს: ა) ნაშრომის დასახელება; ბ) სამაგისტრო თემის აქტუალურობა; გ) კვლევის მეცნიერული დონე და გამოყენებული მეთოდები; დ) სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ხარისხი; ე) სარეცენზიო ნაშრომის დადებითი მხარე და ღირსებები; ვ) შენიშვნები, რეკომენდაციები, რჩევები, რომლებიც უნდა იყოს არგუმენტირებული და შესაძლებელია მოიცავდეს რეცენზენტის შეხედულებით დასაზუსტებელ საკითხებსაც.

16.12. მაგისტრანტმა არაუგვიანეს მე-17 კვირისა უნდა წარმოადგინოს სამაგისტრო ნაშრომი, ყდაში აკინძული სახით და CD დისკზე ჩაწერილი.

16.13. სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე (ინიშნება არაუგვიანეს მე-18 კვირისა) დაშვების თაობაზე ბრძანებას გამოსცემს ფაკულტეტის დეკანი მას შემდეგ, რაც სტუდენტს სრულად ექნება შესრულებული პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტი და შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული წინაპირობა (**სამაგისტრო ნაშრომის თემაზე ან დარგის/ქვედარგის თემატიკაზე) მაგისტრანტის მოხსენების წარდგენის თაობაზე.**

16.14. არაუგვიანეს მე-17 კვირისა, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, რექტორის ბრძანებით იქმნება სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელი კომისია, რომელიც უნდა შედგებოდეს შესაბამის დარგში აკადემიური ხარისხისა და სამეცნიერო გამოცდილების მქონე არანაკლებ სამი წევრისგან. მე-17 კვირიდან კომისიის წევრებს დარგობრივი დეპარტამენტისაგან გადაეცემა სამაგისტრო ნაშრომის ბეჭდური ვერსია, ხელმძღვანელისა და რეცენზენტის დასკვნები, ასევე Moodle-ის პლატფორმაზე ანტიპლაგის პროგრამის მიერ შეფასებული სამაგისტრო ნაშრომის ელექტრონულ ვერსია.

16.15. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი ნაშრომს წარმოადგენს პრეზენტაციის სახით, რომელშიც აქცენტი უნდა გაკეთდეს თემის აქტუალურობაზე, მიზანსა და ამოცანებზე, კვლევის ობიექტსა და მეთოდებზე, შედეგებსა და დასკვნებზე.

16.16. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - საჯარო დაცვაზე დასკვნითი შეფასებით, 100-ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს რეცენზენტის შეფასებას - მაქსიმუმ 40 ქულას და საჯარო დაცვაზე მიღებულ შეფასებას - მაქსიმუმ 60 ქულას (შეფასების აქტი ივსება წინამდებარე წესის **N3 ფორმის** შესაბამისად). სამაგისტრო ნაშრომი ფასდება შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების/რუბრიკების მიხედვით (სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებში ყურადღება უნდა გამახვილდეს: კვლევის/პრობლემის აქტუალურობაზე; მიღებული შედეგების მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებაზე; ნაშრომის აკადემიური დონესა და მაგისტრანტის პრეზენტაციის უნარზე; აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვაზე; გამოყენებული კვლევის მეთოდების რელევანტურობაზე; ნაშრომის გაფორმების აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობაზე).

16.17. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება გამოითვლება კომისიის წევრების შეფასებათა საშუალო არითმეტიკულით.

16.18. სამაგისტრო ნაშრომმა შეიძლება მიიღოს დადებითი შეფასება (51-100 ქულის ფარგლებში) შემდეგი 5 სახის შეფასებიდან:

ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი –71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი –51-60 ქულა.

16.19. სამაგისტრო ნაშრომმა შეიძლება მიიღოს **უარყოფითი შეფასება** (0-50 ქულის ფარგლებში) შემდეგი 2 სახის შეფასებიდან:

ა) (FX) ვერ ჩააბარა (41-50 ქულა), ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, დამატებითი ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;

ბ) (F) ჩაიჭრა (0-40 ქულა), ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე სამაგისტრო ნაშრომის/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

16.20. ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობითა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, სასწავლო კომპონენტის შესრულების შემთხვევაში, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და საჯარო დაცვის ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს საპატიო მიზეზით (ბსუ-ს მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა), ერთი სემესტრით, სტუდენტის დამატებითი ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე.

16.21. სტუდენტი უფლებამოსილია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გაცნობიდან არაუგვიანეს მე-3 სამუშაო დღისა გაასაჩივროს შეფასების შედეგი და ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით წარმოადგინოს საჩივარი /აპელაცია, რომელშიც უნდა მიუთითოს და დაასაბუთოს შეფასების რომელ კრიტერიუმში/კომპონენტში არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას;

16.22. სტუდენტის სააპელაციო განაცხადის საფუძველზე (განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს მე-3 სამუშაო დღისა) ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით (მათ შორის თავმჯდომარე და მდივანი).

სააპელაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს: ა) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი; ბ) სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი; გ) სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის კომისიის წევრი. ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით განისაზღვრება სააპელაციო კომისიის მიერ სტუდენტის სააპელაციო განაცხადის განხილვის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5 სამუშაო დღეს.

16.23. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია სტუდენტის სააპელაციო განაცხადის განხილვისას მოიწვიოს სხდომაზე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი და გასაჩივრებული კომპონენტის შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები.

16.24. სააპელაციო კომისია ხმათა უმრავლესობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) სამაგისტრო ნაშრომის ხელახალი განხილვის/შეფასების მიზნით ნაშრომის შემფასებელი კომისიისათვის დაბრუნების შესახებ;

ბ) მიღებული შეფასების უცვლელად დატოვების შესახებ;

გ) დაუსაბუთებელი სააპელაციო განაცხადის შემთხვევაში, მისი განუხილველად დატოვების შესახებ.

16.25. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს მაგისტრანტს არაუგვიანეს ორი დღის ვადაში.

2. წინამდებარე დადგენილებით განხორციელებული ცვლილებები ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე, გარდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის N111 დადგენილების N1 დანართის მე-16 მუხლში შეტანილი ცვლილებისა. ეს უკანასკნელი ამოქმედდეს ახალი 2022-2023 სასწავლო წლიდან.

3. დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ N1 ფორმა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

---------- ფაკულტეტის
---------- სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის დასახელება _____
მაგისტრანტის სახელი და გვარი _____
მაგისტრანტის ხელმძღვანელი (ები) _____

№	შეფასების კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმი	შეფასება
1	ნაშრომის ტექნიკური მხარე	✓ ნაშრომის ტექნიკური და გრამატიკული გამართულობა; ✓ ციტირების წესის დაცვა.	□ კარგი □ დამაკმაყოფილებელი □ არა დამაკმაყოფილებელი
2	დასახული მიზნებისა და კვლევის შედეგების ურთიერთშესაბამისობაა	✓ ნაშრომის შესაბამისობა მიზნებთან და ამოცანებთან.	□ კარგი □ დამაკმაყოფილებელი □ არა დამაკმაყოფილებელი
3	კვლევის მეთოდოლოგია	✓ კვლევის რელევანტური მეთოდოლოგიის შერჩევა.	□ კარგი □ დამაკმაყოფილებელი □ არა დამაკმაყოფილებელი
4	გამოყენებული წყაროები/ლიტერატურა	✓ საკვლევი თემის ფარგლებში შერჩეულია თანამედროვე ლიტერატურა.	□ კარგი □ დამაკმაყოფილებელი □ არა დამაკმაყოფილებელი
5	საკვლევი საკითხის რელევანტურობა	✓ საკვლევი პრობლემის დასმა და წარმოჩენა; ✓ თემის სიახლე და აქტუალობა.	□ კარგი □ დამაკმაყოფილებელი □ არა დამაკმაყოფილებელი
6	შედეგების /მიგნებების ანალიზი და დასკვნები	✓ ანალიზის სიღმე; ✓ არგუმენტირებული დასკვნები; ✓ დასკვნის რელევანტურობა.	□ კარგი □ დამაკმაყოფილებელი □ არა დამაკმაყოფილებელი

შესრულებული სამუშაოს შეფასება

გთხოვთ, წარმოადგინოთ ნაშრომის მოკლე მიმოხილვა, აღწეროთ ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაბამისი შენიშვნებისა და რეკომენდაციების მითითებით, ასევე მიუთითეთ მსგავსების დეტექტირების შედეგად გამოვლენილი მსგავსების მაჩვენებელი.

სამაგისტრო ნაშრომის Moodle-ის პლატფორმაზე, ანტიპლაგის (მსგავსების დეტექტირების) პროგრამით შემოწმების შედეგები:

- ☐ სამაგისტრო ნაშრომში აღმოჩენილია მსგავსება 30%-ზე ნაკლები
- ☐ სამაგისტრო ნაშრომში აღმოჩენილია მსგავსება 30%-ზე მეტი, მაგრამ 70%-ზე ნაკლები;
- ☐ სამაგისტრო ნაშრომში აღმოჩენილია მსგავსება 70%-ზე მეტი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საბოლოო დასკვნა:

- ☐ სამაგისტრო ნაშრომი გადაეცეს რეცენზენტს შესაფასებლად.
- ☐ სამაგისტრო ნაშრომი დაუბრუნდეს მაგისტრანტს გადასამუშავებლად;
- ☐ მაგისტრანტს არ მიეცეს ნაშრომის გადამუშავების და წარდგენის უფლება;

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ინფორმაცია სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული წინაპირობის - სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული წინაპირობის - **სამაგისტრო ნაშრომის თემაზე ან დარგის/ქვედარგის თემატიკაზე მაგისტრანტის მოხსენების წარდგენის ვალდებულების - სტუდენტის მიერ შესრულების თაობაზე:**

(შენიშვნა: უნდა ჩაიწეროს ღონისძიების დასახელება, გამართვის დრო, ადგილი, ფორმატი, მონაწილე სტუდენტის აქტივობა/თემის/მოხსნების დასახელება).

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ხელმოწერა

თარიღი
(შესაბამისი სასწავლო წელი, სემესტრი,
სასწავლო კვირა და დასკვნის შედგენის თარიღი)

„ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ N2 ფორმა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
---------- ფაკულტეტის
---------- სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის
სამაგისტრო ნაშრომის **რეცენზენტის დასკვნა**

სამაგისტრო ნაშრომის დასახელება _____
მაგისტრანტის სახელი და გვარი _____
მაგისტრანტის ხელმძღვანელ(ებ)ი _____
რეცენზენტი _____

№	შეფასების კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა	შეფასება
1	ნაშრომის ფორმალური მხარე	✓ ნაშრომის ტექნიკური და გრამატიკული გამართულობა; ✓ ციტირების წესის დაცვა.	10 ქულა	
2	სამაგისტრო თემის, მიზნებისა და ამოცანების აქტუალურობა	✓ საკვლევი პრობლემის დასმა და წარმოჩენა; ✓ თემის სიახლე და აქტუალურობა ნაშრომის შესაბამისობა მიზნებთან და ამოცანებთან.	10 ქულა	
3	ფაქტობრივი მასალის ფლობა, გადმოცემის თანმიმდევრულობა, არგუმენტაცია	✓ ანალიზის სიღმე; ✓ არგუმენტირებული დასკვნები; ✓ დასკვნის რელევანტურობა	10 ქულა	
4	კვლევის მეცნიერული დონე და გამოყენებული მეთოდები	✓ რელევანტური კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევა. ✓ საკვლევი თემის ფარგლებში შერჩეულია თანამედროვე ლიტერატურა.	10 ქულა	
საბოლოო შეფასება			40 ქულა	

რეცენზენტის შეფასება, შენიშვნები, რეკომენდაციები, რჩევები:
გთხოვთ, შეაფასოთ სამაგისტრო თემის აქტუალურობა, კვლევის მეცნიერული დონე და გამოყენებული მეთოდები, სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ხარისხი, სარეცენზიო ნაშრომის დადებითი მხარე და ღირსებები; წარმოადგინეთ შენიშვნები, რეკომენდაციები, რჩევები, რომლებიც უნდა იყოს არგუმენტირებული

რეცენზენტის ხელმოწერა

თარიღი
(შესაბამისი სასწავლო წელი, სემესტრი, სასწავლო კვირა
და დასკვნის შედგენის თარიღი)

„ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ N3 ფორმა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
---------- ფაკულტეტის
---------- სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

მაგისტრანტის **სახელი და გვარი** (პირადი ნომერი) _____
სამაგისტრო ნაშრომის დასახელება _____
მაგისტრანტის ხელმძღვანელ(ებ)ი _____
სამაგისტრო ნაშრომის **საჯარო დაცვის თარიღი** (დეკანის ბრძანების ნომერი/თარიღი)

სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელი კომისიის წევრები ----------
_____

№	ნაშრომის შეფასების კომპონენტი	ნაშრომის შეფასების კრიტერიუმი	სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით/სილაბუსით გათვალისწინებული მაქსიმალური შეფასება	ნაშრომის შეფასება
1	დასახული მიზნებისა და კვლევის შედეგების ურთიერთშესაბამისობა	✓ ნაშრომის შესაბამისობა მიზნებთან და ამოცანებთან ✓ მიღებული შედეგების მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება	10 ქულა	
2	კვლევის მეთოდოლოგია	✓ რელევანტური კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევა	5 ქულა	
3	საკვლევი საკითხის რელევანტურობა	✓ საკვლევი პრობლემის დასმა და წარმოჩენა ✓ თემის სიახლე და აქტუალობა	10 ქულა	
4	შედეგების /მიგნებების ანალიზი და დასკვნები	✓ ანალიზის სიღრმე ✓ არგუმენტირებული დასკვნები ✓ დასკვნის რელევანტურობა ✓ ნაშრომის აკადემიური დონე	10 ქულა	
5	აკადემიური კეთილსინდისიერება	✓ დაცული კვლევის ეთიკის პრინციპები და აკადემიური კეთილსინდისიერება	10 ქულა	
6	სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა	✓ საკვლევი პრობლემის დასმისა და წარმოჩენის უნარი ✓ კვლევის სიახლის დასაბუთების უნარი ✓ საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი ✓ კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარი ✓ პრეზენტაციისთვის განკუთვნილი დროის რეგლამენტის დაცვა	15 ქულა	

რეცენზენტის შეფასება	**40 ქულა**	
საბოლოო შეფასება	**100 ქულა**	

შენიშვნა: შეფასების ცხრილში N1-6 გრაფებში აღნიშნული ნაშრომის **შეფასების კომპონენტები** და **კრიტერიუმები** სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.

სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელი კომისია გაეცნო:

- ☐ ხელმძღვანელის დასკვნას
- ☐ რეცენზენტის დასკვნას
- ☐ Moodle-ის პლატფორმაზე ანტიპლაგის პროგრამის მიერ შეფასებული სამაგისტრო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას

კომისიის თავმჯდომარე_____
კომისიის წევრი_____
კომისიის წევრი_____
კომისიის მდივანი_____

თარიღი:

(შესაბამისი სასწავლო წელი, სემესტრი, საბოლოო შეფასების თარიღი)